

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროаზა“.

გაზეთის ფასი: თვეში 1 რუბლსა—8 მან., ნ. ხევა წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში. ფასი განცხადებისა: რუსულ ენით ასობზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციას უფლება აქვს გაასწავროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაბეჭდული სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები ნახე უკანასკნელ გვერდზე

### ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდე—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8). ძალაქს გარევე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроаза“.

## საქართველო

გაციკა შენიშვნა ახალ საქმეზედ.

„დროებაში“ ამას წინეთ იყო ნათქვამი რამოდენიმე სიტყვა შესახებ ხალხური სიმღერებისა, რომელნიც ნოტებზედ გადმოღებული იქმნენ მიხეილ მაჭავარიანის მიერ.

თავის შენიშვნას რედაქცია ათავებდა ამ სიტყვებითა: ჩვენ არ ვიცით, რამდენათ მტკიცედ არის დაცული ამ სიმღერებში ქართული, ნამდვილი ხალხური ხასიათი. ამ სიტყვებმა შეიძლება მკითხველის თვალში გახადონ საეჭვოდ ეს ახალი და სასარგებლო საქმე და მის მსვლელობას და გავრცელებას დაიკოვლებდნენ, მით უმეტეს, რომ უფ. მიხეილ მაჭავარიანს ჩვენში არავინ არ იცნობს ხალხის ყოფა-ცხოვრების და მის ნაწარმოების მცოდნე პირათა.

ამიტომ საჭიროთ ერაყბთ გამოვაქვეყნოთ, თუ რა გზით იწარმოვა ამ საქმემ ვინ მიიღო მასში მონაწილეობა, რა სიფრთხილით მოიქცნენ და რა ღონისძიებანი იქმნენ ნახარნი, რათა ეს სიმღერები ნამდვილი ხალხური თვისებისა ყოფილიყვნენ.

ძაი ხანია ამ სტრიქონების დამწერი მოწადინებული იყო ვისთვისმე გადაეღებინა ნოტებზედ ხალხური სიმღერები ჩვენი უკოლებსათვის. ეს წადილი დამყარებული იყო იმ დიდ მნიშვნელობაზედ, რომელიც აქვს საყმაწვილო სიმღერას უკოლის მსვლელობაში და წარმატებაში.

სიმღერა სამართლიანათ ითვლება ჩვენ დროში უკოლის ცხოვრების სულოთა და გულათა. იგი უხსნის ბავშვს სმენასა, აჩვენებს გარმონიასა, უსუსტებს და უსპობს ხეობობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიჩვილესა. მრთი სიტყვით აკეთილშობილებს მის ბუნებასა.

ამიტომაც შენიშნულია, რომ სიმღერის მოყვარე და მცოდნე ბავშვები ცხადათ ერჩევიან თავის ტოლებში სასიამოვნო, მიმზიდავი, სიმპატიური ხასიათითა და თვისებათა.

ამითი კიდევ არ თავდება სიმღერის მნიშვნელობა. მას უკოლის შრომაში შეაქვს სიხარულის ელემენტი, აღვიძებს და აცოცხლებს უკოლის ცხოვრებასა და მეუად უმსუბუქებს ბავშვებს იმ ტვირთსა, რომელსაც მათთვის შეადგენს სისტემატიური გონებითი მუშაობა. ბავშვის სუსტს, ნორჩს გონებას ვარჯიშობა მალ-მალ დაღავს და ქანცავს; მაგრამ მალეც მოდის იგი ღონეზედ. უკანასკნელი მიზნისათვის საუკეთესო ღონისძიებად ითვლება სიმღერა. სიმღერას სმენის ნევრების შუამაგლობით იმისთანა მდგომარეობაში მოჰყავს ნერვის ცენტრები, რომ ასწრაფებს სისხლის დენას ადამიანის ძარღვებში და ტვინში, აჩქარებს ტვინის ნეოთიერების განახლებასა, აშორებს გონებას ყოველ განსაზღვრულ ჰაზრსა და ზრუნვასა, შეჰყავს ადამიანი რაღაც სიამოვნების სფერაში შლის მის გულსა, და გონებას უმხნევებს და უხალისებს.

ამიტომ ბავშვის დაღალული გონება ვარჯიშობისაგან ერთი-ორათ უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ქაჰა ვინემ სიცუდავით დასვენების დროსა. საკმარისია პატარა ხანს შეაწყვეტინოთ შრომა დაღალულ კლასსა და სამ-ოთხ-მინუტს ამღეროთ იგი, რომ მან ახალის სიმხნით და ხალისით გააგრძელოს ვარჯიშობა. ამიტომ ახლანდელი დროის უკოლა განათლებულ ქვეყნებში ყოველად-შეუძღვნილია უსიმღეროთ.

ამ ჰაზრით ხელმძღვანელობდით, როდესაც ჩვენ ორი წლის წინათ შეუდევით ცდასა, რომ უფრო მარტივი მოტივები ჩვენი ხალხური სიმღერებისა გადაღებული ყოფილიყო ნოტებზედ.

მაგრამ საქმე მეტად ძნელდებოდა. მერ ვბოვებდით პირსა, რომელსაც რომ ნოტები კარგათ სცოდნოდა და ეს შრომა ეკისრნა. ჩვენ გყვანან რამდონიმე პირნი მუზიკალურ კონსერვატორიაში კურს დასრულებულნი; მაგრამ, სამწუ-

ხაროდ, ამ გვარ საქმეებს განხედ უდგანან და მათგან მონაწილეობის მიღების იმედი ძალიან ცოტათა გეჰქონდა. ეს იმედი სრულიად მოიხსრა, როდესაც ამ პირთაგან უფრო საიმედოზედ დაახლოვებულმა ნათესავმა გვითხრა, რომ მავ საქმისათვის იგი ვერ მოიცილსო და თხოვნა ფუჰათ გაივლისო.

ამ ორგოზ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ჩვენი გაჭირება შესახებ ხალხური სიმღერის ნოტებზედ დაწყობისა შეეჩვილეთ მღენე ღმირის ასულს შიფიანსა. ჩვენ და სასიხარულოდ მან სთქვა, რომ ამა შრომის კისერა და შესრულება ადვილით შემოიძლიან და დიდის წადილითაც მივიღებ მონაწილეობასაო. მადაეჭვრით, რომ მოკლე ხნის განმავლობაში შეუდგებოდით ჩვენი განზრახვის ასრულებასა. ჩვენ უნდა გვემღერნა, მღენე ღმირის ასულს დაეწერა ნოტებზედ და შემდეგ ფორტპიანის შეძწვობით სისწორე შეგვემოწმებინა.

საიდგან ვიცოდით ჩვენ ხალხური სიმღერები და წმინდა და აუღმღერველი წყარო ჰქონდა ამ ცოდნასა? ამის პასუხათ მკითხველს მოვასხენებ, რომ ამ სტრიქონების მწერალი ხალხის შეილია, შუა მართლში დაბადებული და ყმაწვილობით ხალხის კალთაში აღზდილი. ეს ცოტაა. იგი სიყმაწვილის დროს ეკუთვნოდა იმ ბავშვებსა, რომლებსაც შეიძლება ხალხის პოეზიის ფოკუსები დეარქვათ. მას არ გამოეპარებოდა არც ლექსი და არც სიმღერა. ხალხის პოეზია ამ დროს მისთვის იყო სული და გული. თუმცა მასუკან იგი ცხოვრების ჩარხის ტრიალმა მოსწყვიტა ხალხს ცხოვრებასა და ჩაადლო სხვა გვარ გავლენათა ქვეშა, თუმცა ბედმა გაატარა როგორც რუსები იტყვიან, ცეცხლისა, წყლისა და სპილენძის მიღებასა და სიცოცხლით საესე ყმაწვილი ავათმყოფ არსებად შესცვალა, მაგრამ აქაც გამართლდა ბიოტეს სიტყვები: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს ყმაწვილობის დროს ჩაბეჭდილებათაგან.“

ჩემი სახსოვრის დროს კუნჭულებში ხელუხლებლად ჩარჩნენ ოცამდის ხალხური მოტივები, რომელნიც უფრო დროს ჩაბეჭდილებას ახდენდნენ და რომელნიც უფრო მომეტეულათ აესებდნენ აღტაცებით ჩემ ყმაწვილურ გულსა.

აი ეს მოტივები, ეს სიმღერები უნდა



გაღველო ნოტებზედა და შეგვესო კიდე სხვა წყარობიდანა.

ჯერ კიდევ საქმის დაწყების მზადებაში ვიყავით, როდესაც ერთს დილას უ. მ. მაჭავარიანი მოულოდნელად მოვიდა ჩემთანა და თან მოიტანა ერთი პატარა რვეული. წარმოიდგინეთ ჩემი სინარული, როცა შევიტყე, რომ ეს რვეული შეიცავდა ნოტებზედ დაწყობილს რამდენსამე სიმღერასა და საგალობელსა. ოთხეულსა ეს სიმღერები აღმოჩნდნენ ქალაქული კილოსანი, მაგრამ საქმე მაინც დაწყებული იყო და მხოლოდ უნდოდა მას გაგრძელება და ჯეროვან გზაზედ დაყენება.

ჩვენ იმ დღესვე შევეუდექით ჩემი მოტივების გადაღებას. მსენი ძალიან ჭკუაში მოუვიდნენ უ. მაჭავარიანსა, მეტათ მოეწონნენ და იგი ერთგულად შეუდგამათ გადაღებას ნოტებზედ. მე ვმღეროდი, უ. მაჭავარიანი სწერდა, ბოლოს თვითონ ნოტებზედ გალობდა და მე უნდა შეცდომანი შემეჩინა და გამეწორებინა.

რამდენიმე თვის შრომის შემდეგ შესდგა კოლექცია ოცი საყმაწვილო სიმღერისა. მაგრამ ჩვეუ გათავებულად საქმე მაინც არ ჩავთვალეთ. ჩვენ მოვიწოდეთ ფორტოპიანის შემწეობით შემოწმება სიმღერების სწორეთ გადაღებისა. ძებნა და თხოვნა დახელოვნებული ფორტოპიანის დამკვრელისა ჩვენ არ მოგვინდა ეს შრომა სრულის წადილით იკისრა მღენე დიმიტრის ასულმა შიფანმა, რომელიც ყოველ კეთილ და საზოგადო საქმეში ჩვეულობა დაუზარელობასა და ერთგულ დახმარებასა. ბევრი საღამო მოანდომა სიმღერების დაკვრასა ფორტოპიანოზედ, ნოტების შემოწმებასა სინამდვილესთანა და შესწორებასა. ბარდა ამისა მან იკისრა შეკრება და ნოტებზედ დაწერა ზემო-მართლის ხალხური ლექსებისა შარშან ზაფხულში. ოთხეულსა მისი შეგროვებული კოლექცია რთული გამოდგა და ერთი მოტივის გარდა, ჩვენ სიმღერების კრებაში ვერ მოექცა, მაგრამ ეს შრომა მაინც გამოსადეგი იქნება მაშინ, როდესაც ნოტებზედ გამოიცემა მთელი ჩვენი ხალხის სიმღერები.

ოთხეულსა ჩვენ ყოველ ღონისძიება ეხმარეთ, რომ სიმღერების გამოცემა ყოფილიყო უნაკლებო, მაგრამ რადგანაც მაინც შესაძლებელი იყო შეცდომების შეპარვა ამიტომ გადავსჭერით, რომ პირველათ გამოგვეცა მცირე რიცხვი, მართა 300 ეგზემპლიარი, და მეორე გამოცემისათვის მოგვეზღინა საჭირო ცვლილებანი.

ამ გზით იწარმოვა ამ ახალმა საქმემ ჩვენში და ამ წიხრათ მოვიდა სისრულეში. როგორც მკითხველი ხედავს აუჩაქობას, სუმბუქათ მოქცევას, საქმის შეხანხლას აქ ადგილი არა ჰქონია. ხალხური სიმღერების ნოტებზედ გამოცემა არის ნაყოფი კაი ხნის და ერთგული შრომისა და ჩვენი საზოგადოება შემტადარი არ იქნება, თუ მას ჩასთვლის ნამდვილ შემატებათ და სასარგებლო მოე-

ლენათ ჩვენი უკოლებსათვის და ყმაწვილებისათვის.

შემეტყვი ნაწილი სიმღერებისა სამ ხმაზედ არის დაწყობილი; მხოლოდ რამდენიმე მოტივებისათვის არის ნახმარი ოთხი ხმა. ეს მეოთხე ხმა ჩვენში არ იხმარება და შეიძლება ბევრმა მის შემოღება დასაძრახათ ჩასთვალოს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა ხალხთაც, რომელთაც ეხლა ოთხ-ხმაანი სიმღერა და გალობა აქვთ მიღებული, უწინ მართა სამ-ხმაანი სიმღერა იცოდნენ. შოველ შემთხვევაში მეოთხე ხმა არას დაუშლას. იგი შეიძლება სიმღერის დროს სრულიად მიტოვებული იქმნას.

პირველი ადგილი ხალხური მოტივების გამოცემაში უჭირავს სიმღერასა „თამარ მეფე და ხონთქარი მალალმა ღმერთმა წაჰკიდა“. ეს სიმღერა არის მოკლე, მეტათ მხიარული და საკვირველათ გამამხნევებელი გულისა. ამ მოტივის ხალხი მღერის, როცა ფერხულსა მართავს, და უფრო კიდევ მაშინ, როდესაც მთელი გროვით საღმე. მიდის, მაგალითათ ჯვარობასა. ამ დროს ხალხი რამდენსამე რიგათ ანუ რაზმათ არის დამწკრივებული, იმღერის ორ-სამ-ოთხ პირათა და გააქვს გუგუნე ქუხილივითა. ამბობენ, ეს სიმღერა საომარი მოტივი იყოვო ჩვენში. მართალი უნდა იყოს ესა, რადგანაც ეს კილო განსაკუთრებულ მხნეობას და ბრძოლის სურვილს უბადამს კაცს გულში. ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ ამ სიმღერაზედ ზედ არიან გამოჭრილნი საომარნი ლექსნი, მაგალითად:

„მასაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შაფი ტყისასა.“  
„მინც დახვდა, იგივე დახვდება გულდა-გულ რაზმსა მტრისასა.“

სხვა გვარი ლექსები კი სრულიად არ უღებებიან ამ სიმღერასა. მას მისდევს სიმღერა:

„სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის თავშია“. ეს მოტივი მეტათ გარმონიულია და სასმინათ საამური. მას მღერიან მართლში, დიდი ლიხვის პირსა, და მებაღე იმერლებისაგანაც გამიგონია თვითონ ოფილისში. ეს მოტივი იმერული უნდა იყოს და მერმე გაქართლებული. მესამე ადგილი უჭირავს სიმღერასა: „ნეტავი ჩემი სასახლე მალლა მთაზედა ამეგო“. პირველ ნახევარს ამ სიმღერისას ერთი დასძახებს, მერმე ჩამოართმევს მთელი ხორა და ბოლომდისინ მღერის.

შემდგომ არიან დაბეჭდილნი წმინდა, საბავშო მოტივები: „მოდო, ვნახოთ ვენახი“, „მურდელი ჩამოცანცაოდა“, „ღრმეში ფეტვი ჩაეყარე შესანახათო“. მათ მისდევნენ: „ზნედავ, მერცხნაო, მალლა მფრინავსა“ („მიველ და ვნახე სამოთხის სახე“-ს ხმაზედ), „თანდილ გადინადირა ქედი მალალი, ტყიანი“, „მზე შინაო, მზე შინაო“, „აღვის ხე წამოქცეულა“ დაკიდვ სხვანი.

ძალაქური მოტივებ, მხოლოდ სხმი-ოდე ურგია: „ჩემსა ბებო დასტურჯი თხა ჰყავდა“ („მღეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს“ ხმაზედ), „ტყეს ესხმება ფოთოლი“ („ბაგრა მოდის ფარანი“-ს ხმაზედ), „მუშინ გავუღე გალიის კარი“. მრთი სიმღერა: „მჭე გაები, ჩიტო ლამაზო, ჩვენს დაგებულსა ძუის მახეში“ თვითონ უ. მაჭავარიანისაგან არის შედგენილი; მაგრამ ქართულ კილოზედ მოხერხებულათ. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს მოტივი.

ლექსები სიმღერებისათვის იმ გვარნი ამოვარჩიე, რომელნიც ან პოეტურის მხრით არიან ჩინებულნი, ან მაღალი ჰაზროვანი და პედაგოგიური შინაარსი აქვთ.

ზამოცემა შეადგენს სრულს საკუთრებას უ. მაჭავარიანისასა, რომელმაც საქმე ერთგულობით იშრომა ამ კეთილი საქმისათვის.

ბოლოს ჩვენ ვინატრით, რომ ამ გამოცემას ფართო გზა გახსნოდეს და იგი კეთილად და სასარგებლოდ მოეხმაროთ ჩვენი უკოლების მასწავლებელთა.

იაკობ სვიმონიძე

დღიური

\* \* \* იქნება ახსოვდეს მკითხველს, რომ შარშან იენისში ალექსანდრაპოლიდამ მომავალმა ერთმა აფიცრმა პარუჩიკმა ბარაბაშევი მოჰკლა გლეხი ალექსა მინასაშვილი, რომელიც ურემს მოუძღოდა და რომელმაც ვითომც აუტყება ჩხუბი გზის დათმობის თაობაზედ ხსენებულს აფიცრს.

მა საქმე გასული იელისის 5 გაარჩია აქაურმა სამხედრო სასამართლომ და გადაწყვიტა, რომ რადგან პარუჩიკი ბარაბაშევი იძულებული ყოფილაო, რომ თავის სიცოცხლე დაეცვა მეურმისაგანაო, ამიტომ ესროლა რევოლვერიო და ამის გამოც ის ყოველი პასუხის-გებისაგან განთავისუფლებული უნდა იქნესო.

სასამართლოს პროკურორმა პროტესტი შეიტანა ამ გარდაწყვეტილებაზე; ამ პროტესტში ის ამტკიცებდა ცხადათ, რომ ბარაბაშევის სულაც არ უპირებდა ის საწყალი მეურმე გლეხი სიკვდილსან შეურაცხყოფის მიყენებასაო და ამიტომაც ის არ იყო იძულებულიო, რომ იარალი ეხმარა და ეს კაცი მოეკლაო. ამ საფუძვლით პროკურორი თხოულობდა, რომ აფიცერი დაესჯათ კაცის მოკვლისათვის.

სამხედრო სასამართლომ ხელ-მეორედ განიხილა ეს საქმე ამ თვის 2-ს; მაგრამ იმან არ მიიღო პროკურორის საფუძვლები და თავის პირვანდელი გადაწყვეტილება დაამტკიცა: ე. ი. პარუჩიკი ბარაბაშევი გლეხის მინასაშვილის მოკვ-





ლისათვის ყოველ პასუხის-გებისაგან გაათავისუფლა...

\* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელს უფ. ზ. იოსელიანს შეუდგენია ქართულს ენაზედ საზოგადო ისტორია. ძველი ისტორია, როგორც გვითხრეს, უკვე სრულიად დამზადებული აქვს და მალე ბეჭდვასაც შეუდგება.

ამას გარდა ორი წიგნი იქნება კიდევ: საშუალო საუკუნისა და ახალი დროების ისტორია.

ამბობენ, უფ. იოსელიანს ისეთნაირად შეუდგენია ძველი ისტორია, რომ ის უკოლებშია ცხელმძღვანელოდ კარგათ გამოდგება და დიდებისთვის საკითხავადაცაა, რადგან მომეტებული ყურადღება თვითონ ხალხების შინაგან ცხოვრებასა და დიდ კაცების ბიოგრაფიას აქვს მიქცეული. დანარჩენ ორ წიგნსაც ამ პლანზე არდგენს.

თუ ეს მართალია, თუ უფ. იოსელიანმა მართლა ამ პლანის შესრულება შეიძლო, რაღა თქმა უნდა, რომ ეს წიგნი იქნება ძალიან კარგი შეძინება ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურისათვის და საზოგადოთ ჩვენის მწიგნობრობისათვის.

ჩვენ გვითხრეს აგრეთვე, რომ ამავე უფ. იოსელიანს ლოლიკის სახელმძღვანელო წიგნი შეუდგენია რუსულს ენაზედ და უფ. მ. ხელაძის სტამბაში აბეჭდვინებს.

\* \* ბუშინწინ, 7 აგვისტოს, დღისით ერთი ვილაც მეგრელი მივიდა იარბუკაში და გამოიხმო ფურნიდამ თავის ნაცნობი მეგრელი და ცოტა ხნის ბაასის შემდეგ ჩაჰკრა იმას დიდი დანა მუცელში და გაიქცა. ღატრილი ძალაქის საავთმყოფოში წაიყვანეს, სადაც უკვე მოკვდა გუშინ ისე, რომ ჩვენების ჩამორთმევაც ვერ მოასწრო გამომეცდებელმა. მკვლელი ჯერ კიდევ ვერ მოხანხეს.

\* \* ძახეთიდან გვწერენ, რომ წლევენდელი პურის მოსავალი ბევრად უმჯობესია, ვიდრემ შარშანდელიო, თუმცა თავთავმა ძალიან წერილი მარცვალი დაიჭირაო. მუშები ახლა ისე აღარ ძვირობენ, როგორც ამ ერთი-ორი თვის წინთა; დღიურ მუშას მანეთად, ექვს აბაზათ იშოვნითო.

ზასული თვის უკანასკნელ რიცხვებში რომ წვიმები იყო, იმისაგან თითქმის მთელს ძახეთში გაუფუჭებულა გზები და თუ უფლის აღმინისტრაციამ მალე არ მოახდინა განკარგულება და არ გააკეთა ეს გზები, ხალხი ძალიან შევიწროვდება.

# ოქის უაღაბ

## რუსეთი

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმის დასაჭერად რუსის ჯარი ამ თვის თხუთმეტს აპირებს გამგზავრებას; ერთი ნაწილი ამ ჯირისა არტაანდამ მიდისო და მეორეც ოზურგეთიდან (ხუც-შხის ბანაკიდან).

— ამბობენ, რომ ბათუმის მაზრის უფროსად დანიშნული იქნება ახლანდელი უფროსი არტაანის ატრიადისა ლენ.-მაიორი ქომაროვი. ჩვენ გვითხრეს აგრეთვე, რომ ამ ახლად-შემდენილი მაზრის გამგებოში დადი ხმა და ვაფლენა ექნებათ მინიჭებული თ. ზრ. ბურიელს, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილსა და ახლანდელს უფროსს არტაანის მაზრისას უფ. მის. მეფისოვს.

— „პოლიტიკურს პორრესპონდენციასში“ სტამბოლიდან იწერებინან, დარწმუნებით შევიტყეთ, რომ აქეთკენ დაყენებულის რუსის ჯარების უკან დაბრუნებას ამ აგვისტოს თვის 19 რიცხვიდან დაიწყებენ; ასი ათასს კაცს ჯარს პირ-და-პირ ოდესსაში გამოიყვანებენო. და დანარჩენს კი სევასტოპოლში.

## ოსალეთი

„Indép. Belge“-ის ტრაპიზონელი კორესპონდენტი იწერება:

„ამ დღეებში მოვიდი აქ სტამბოლიდან იბრაჰიმ-ფაშა, რომელიც დანიშნულია ახლად მიცვალებულის მუსტაფა-ფაშის მაგივრად ქრზინგიანში დაბანაკებული ოსმალთს ჯარის მთავარ-სარდლად. აქედამ ის წავადა ქრზინგიანში, ერთი დღე დაჰყო იქ და შემდეგ აქედამ ისევ უკან დაბრუნდა ბათუმში.

„მე დამარწმუნეს, რომ ბათუმში მოიხმო მძიმ ლაზების მოთავე კაცები, რომელთანაც რამოდენიმე საათის განმავლობაში რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა. ძაცმა არ იცის—რაზედ ლაპარაკობდნენ ესენი; მაგრამ ამ ლაპარაკის შედეგად იყო ის, რომ ლაზებმა ახალი ქალაქი (პროტესტი) წარუდგინეს ღერვიშ-ფაშასა და ინგლისის კონსულს, რომ ჩვენ არამც-და-არამც არ შეგვიძლიან რუსეთის ქვეშევრდომობაზედ დავთანხმდეთო, უკანასკნელ კაცამდინ შევაკედებით რუსის ჯარს და ამ წაირად ჩვენის რჯულისა, ქვეყნისა და თავისუფლების დაცვას ვეცდებითო.“

„ეს პროტესტი ღერვიშ-ფაშამ, რასაკვირველია, იმწამსვე თავის მმართველობას გაუგზავნა სტამბოლში და ინლისის კონსულმა ლონდონში.

„შველა ლაზებს (ქობულეთლებს), ვინც კი ისურვა ინგლისის თოფები და ტყვია წამალი ბლომათ აქვთ დარიგებული და მზათ არიან საბრძოლველად. ღერვიშ-ფაშა იღუმალიად ამხნევეს, აქეზებს ამათ.“

„ამნაირად რუკები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სისხლის დაუღეროდ ისინი ამ ბათუმის მაზრას ვერ დაიჭერენ.“

— ამავე ქალაქიდან (ტრაპიზონიდან) „პოლიტიკურს პორრესპონდენციასში“ იწერებინან შემდეგ ამბავს:

„ქრზინგიანის, მანის და ღირბეკირის მაზრებში ხალხი ძალიან აღელვებულია, რადგან ოსმალთს სამხედრო პირები ისეთს მზადებაში არიან, რომ ყველა დარწმუნებულია, ხელ-ახლად ომი ატყდება რუსეთთანაო. 12,000 ქურთს თოფ-იარაღი დაურიგეს, ახალი ჯარები გამოჰყავთ მთელს ანატოლიაში, ინგლისის ინჟინერებით მთელი სომხეთი მოფენილია, ესენი ამაგრებენ საბრძოლველ ალაგებს, აშენებენ ახალ ციხეებს; ამ დღეებში მოვილიან ბლუმ-ფაშას, რომელმანც ქრზინგიანის გამაგრებას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება; მუდამ დღე მოაქვთ ტრაპიზონში სტამბოლიდან ხომალდებით მოტანილი ტყვია-წამალი, ზარბაზნები და სხვა ყველა, რაც ომისათვის საჭირო საკანია.

„მართის სიტყვით, ამჟამად აქ ისეთი მოძრაობა და ფაცა-ფუცია, რომ კაცს ვგონება მართლა, რომ დღე-დღეზე ახალი ომი დაიწყება.“

— რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია 1 აგვისტოს სტამბოლიდან მიღებული დეპეშა, რომ აჯანყებული ბოსნიელების დასამშვიდებლად ოსმალეთის მთავრობამ მესმედ-ალი-ფაშა გაგზავნაო.

## საბმრძნეთი

„ზაზეთს „ათინის მოამბეში“ იწერებინან, რომ მპირსა და მესსალიაში ამჟამად საშინელი არეულობა და უწყესოება არისო; დღისით დადიან ქალაქებში და სოფლებში დაიარაღებული ავაზაკები და ქუჩებში და თაფიანთ სახლებში ხოცვენ მღვდლებსა და უიარალო მოქალაქეებსაო. ბანსაკუთრებით მპირში ისეთი ავაზაკობა არის, რომ კაცს დღე მოსვენება და ღამე ძილი არა აქვსო შიშისაგან, რომ აი ახლა დაგვეცემიან და დაგვხოცენ, აი ახლაო.

„ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთის ჩინოფიკებს ამ ავაზაკების მხარი უჭირავთო და ამიტომ ისინი ასე აამყად და დაუჯვლად მოქმედებენო.“

## ნარკვი

### ოღმისის არმულრა

მოგვხსენებთ, რომ გაელილ 30 იანვარს, როდესაც რამდენიმე ახალგაზდა კაცს და ქალს—სოციალისტებს სახლი გაუჩხრიკეს ოდესსაში, ამ დროს დიდი უწყობა მოხდა, რადგან ხსენებული ყმაწვილი კაცები რევოლუციებით და ხანჯლებით დაიარაღებულები დაუხვდნენ ქანდარმის და პოლიციის აფიცრებსა და სალდათებს და რამდენიმე კაცი იმათგანი კიდევ დასჭრეს.

ამ საქმის თაობაზედ სამხედრო სასამართლო იყო დანიშნული, რომელმაც დამოძიების შემდეგ ამ ივლისის 24 დასდვა შემდეგი განჩინება: ბრალდებუ-



ლი პოვალსკი უნდა დაიხეიროს. ჟანდარმის აფიცრის დაჭრისათვის, შიტაშევსკი, ძლენოვი და სტუძინსკი ოთხი წლით სამხრეთში კატორღაში უნდა გაიგზავნოს, სვიტოჩი—რვა წლით, აჭანასიევი და შიტტენი სამხრეთში გაიგზავნებიან დასასახლებლად, მერქანოვის ქალი სამი კვირით დაიწყებულა ციხეში.

სუარეველი ხალხი იყო თურმე მოგროვილი სახელო სასამართლოს წინ და იმის ახლო-შახლო ქუჩებში, როდესაც ამ საქმეს არჩევდნენ. 500—მდინ ახლოგზავნი იმ დღეებში მოსკოვიდამ, ხარკოვიდამ და ძიევიდამ ჩამოსულიყვნენ რკინის გზით.

შეიტყეს თუ არა სასამართლოს განჩინება, ქუჩებში ერთი საშინელი აყალმაყალი, ყვირილი, სასამართლოს ვინება და ლანძღვა მოისმა. მაგრამ ამით არ გათავდა საქმე.

შეცრად რამოდენიმე რევოლვრის ხმა მოისმა. ხუთი სალდათი დასჭრეს იმ ჯარიდამ, რომელიც სასამართლოს წინ იდგა და ხალხს იგერებდა. ორი სალდათი მოჰკლეს და ორიც მათურებელთაგანი აგრეთვე დაჭრილია.

შეიქნა ქუჩებში საშინელი არეულობა: ჯარი მოაწვა ხალხს და განფანტა აქეთ-იქით ქუჩებში. პოლიციამ დატუსაღა 15 კაცი, რომელნიც ყველაზე მომეტებულს ჰყვიროდნენ მმართველობის წინააღმდეგ სიტყვებს. რევოლვრების მსროლელები კი გაიქცა-გამოიქცნენ და ვერ დაიჭირეს.

ამ საქმის თაობაზე გაცხარებული გამოძიება არის დანიშნული.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 9 აგვისტო. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მუ-

დმივი ჯარის შესავსებლად გამცყვანილი პირველი რაზრიალის ოპოლჩენის მეომარი დათხოვნილნი არიან.

შეჭანდარმის ამხანაგი ლენ.-ლეიტ. სილვესტროვი დაინიშნა შეჭანდარმად.

ვენა, 7 აგვისტო. აესტრიის იმპერატორმა მადლობა შეუთვალა ბოსნიის დასაქვრად გაგზავნილ ჯარების უფროსს ჩილიაოვიჩის, რომლისაგანაც მიიღო ამბავი, რომ სენმა ჯარებმა გუშინ დაამარცხეს აჯანყებულები. იმპერატორმა დაუმაღლა აგრეთვე ჯარებს ერთგულებისა და მხნეობისათვის. ბოსნიის ქრისტიანებისაგან აესტრიის ჯარების უფროსებს მოუვიდათ აღრესი, რომ ჩვენ შემორჩილებითა. 4-სა 5 აგვისტოს აესტრიის ჯარებს შეტაკება ჰქონდათ აჯანყებულებთან, დაამარცხეს ისინი და მაგარი პოზიციებიდამ განდევნეს. აესტრიელელების მხრით ამ შეტაკებაში სულ 2 კაცია მოკლული და 16 დაჭრილი.

პეტერბურლი, 8 აგვისტო. პოლიციამ მიავნო შეჭანდარმის მეზენცოვის მკვლელების კვალს. ძრასნოე სელოში რამდენიმე კაცია დატუსაღებული.

ვენა, 6 აგვისტო. აესტრიის ჯარმა ბელანოვაცის მახლომოდ დაამარცხა აჯანყებულები, ჩიგდო ხელში იმათი ბანაკი, ბაირალი და საომარი მასალები. მდ. ბოსნიას მარჯვენა მხარეზეც აესტრიის ლენერალმა საპარიმ დაამარცხა აჯანყებულები.

პეტერბურლი, 7 აგვისტო. ხვალ ლენერალ მეზენცოვს მმარხვენ სერგიევის მონასტერში. აქ წვიმიანი ტაროსი დადგა.

ვენა, 8 აგვისტო. გუშინ, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, აესტრიის ჯარმა აიღო ბოსნიის დედა-ქალაქი სარაევო, რომელშიაც აჯანყებულები (ჰაჯი ლოია) იყვნენ გამაგრებულნი. დაწერილებითი ამბავი ჯერ არ მოსულა.

ვენა, 7 აგვისტო. ეკროპის ოსმალე-

თილამ რუსის ჯარები 20 აგვისტოს დაიწყებენ უკან დაბრუნებას. ამბობენ, ვითომც ლეიარდს ეთქვას, რომ აჯანყებულთაგანს, რომელნიც მტრულად მოეპყრონ, დაიხეიროს. იმ წამსვე იგლისის ფლოტიც წავა მარმარილოს ზღვიდამაო.

პეტერბურლი, 8 აგვისტო. დღეს გამოავენეს ლენ. მეზენცოვი დასასაფლავებელად. ამ დროს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. საფიქრებელია, რომ ჩილისა და არგენტინის რესპუბლიკას შუა მალე ომს დაიწყება.

პეტერბურლის ბირჟა, 9 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—50
მეორესი — — — —	96—37
მესამესი — — — —	96—25
მეოთხესი — — — —	95—37
აღმოსავლეთის — —	95—60
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	7—91
თფილ. თავად-ან. ბანკის გირაოს ფურცელი — — —	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. ძაპ.
პირველი სესხის — —	235—15
მეორე სესხის — — —	236 —
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — —	25—25 პენსი
ამსტერდამი — — —	127—50 ცენტი
ბერლინი — — —	214—80 ჰენრიგი
პარიჟი — — —	263—50 სანტიმი

ისუიღებ პარტიითა და თითო კუ-

ლითაცა **თაგაქო**, მხორკა, ნაკლებ ფასათ. აღრმსნი: ბალგრიე არწრუნისა, № 146. იპანე ალხაზოვი. (3—3)

რპ. გზა.	ღილა.	ს.ლაპ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან.კაპ.	მაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი . . .	9 21	5 18	მ.კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 8 აგვისტო.		შრვენ ს მადანზე, წ. ნამდგაროვის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1	ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	190	აუთამოვებს მიიღვენ უოველს
ბ. რი . . . . .	11 58	9 43	240	133	ბორს, ლეუშოს, სიღალს . . . . .	50	ფ. ვალი წითელი . . . . .	160	დღე დილის 8 საათ დამ 10-მდინ.
ხაშური . . . . .	1 29	11 57	392	218	როტოვი, მდესს, მოსკოვი	2	მერე ფუთი . . . . .	135	მ. რ შაბათს: მერამივეი და ბა-
სურამი . . . . .	1 44		442	246	3 ტერბულს, ვარშავას . . . . .	2	ბამბა შრვენისა, ფუთი . . . . .	750	რ ლევირა — შინ გ. ავ თ., ქიუჩა-
შვირილი . . . . .	5 49		581	323	მსმალტში, შვეიცარიაში . . . . .	3	— ამერიკიაა, ფუთი . . . . .	830	რინც — თვალსა და ხ. რურგილ.
რიონი . . . . .	6 5		675	375	იტალია და სფრანგეთში . . . . .	350	ბაპენტლი ბ. მბა ფუთი . . . . .	10	ს ა მ შ ა ბ ა თ ს : მერამივეი — ში-
სამტრედია . . . . .	7 51		773	429	ნიგლისში . . . . .	375	მაცული თუშური ფუთი . . . . .	820	ნ. გ. ბ ქსტი იენერალუსა და კანის
ახალ-სენაკი . . . . .	8 43		857	476			— თარაქამისა ფუთი . . . . .	450	ა. ბ ხუტოვი — საბეზო და ბავშვის,
შოთი . . . . .	9 50		975	542			აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2	პეუნოვი — თვალს.
შოთი . . . . .	9 3				ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. შურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურ. გეთს — ორშ. და პარასკ.		ქონ, ფუთი . . . . .	650	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი : მერამივეი ში-
ახალ-სენაკი . . . . .	10 14		118	66	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ქონის სანთ ლი ფუთი . . . . .	880	ნ. განი, ბაქსტი — გულის და ნერვების
სამტრედია . . . . .	11 5		26	114	ლია წიგნია . . . . .	4	სტეარინის ს ნთე. ი, ფთ. . . . .	1250	ხუთ შ ა ბ ა თ ს : მერამივეი — ში-
რიონი . . . . .	12 13		34	169	დ ბ ჭ ლ ი ს ( ი მი მისხალი ) . . . . .	8	ბორც, ძროხისა, ლიტ — ცხვრისა, ლიტრა . . . . .	81	ნ. გ. ბაქსტი გულის, ქ. უჩროიან-
შვირილი . . . . .	1 18	ლაშე.	398	221			— სპარია, ბროც. ფუთი . . . . .	90	ცი — სიჭლიტიკური და საშვილო-
სურამი . . . . .	5 12		110	533			სპირტი ვედრო . . . . .	520	სნო ორგანების, ა. ბ ხუტოვი —
ხაშური . . . . .	5 39		137	584			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	730	ქალისა და ნერვების.
ბორი . . . . .	7 5		487	364			— ფხენილი ფუთი . . . . .	560	პარასკევი: მერამივეი შინ გ.,
მცხეთა . . . . .	8 50		659	985			ქვეა გრგვლი, გორგ . . . . .	70	ა. ბახუტოვი — ქალისა და ბ ვშების.
თფილისი . . . . .	9 31		756	975			უთი ქუნჯუთი ა ფუთი . . . . .	13	შ ა ბ ა თ ს : მერამივეი შინ გ., ბაქ-
							მაბაქო, საშულო ფთ. . . . .	12	სტი-გულსა და პეუნოვი — თვალს.